ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე განხილულ საკითხთა ნუსხა

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 იანვრის №07-115220255-115 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

3.ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N1

ქ.ქობულეთი 31 იანვარი 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 13-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, ჯემალ ბლადაძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, გიორგი გოგიტიძე, დავით პაპუნაიშვილი, გელა შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, ირაკლი ქათამაძე, ზურაბ ხინიკაძე, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, მირზა მახარაძე, არჩილ ჯაფარიძე, ლაშა კომახიძე, ილონა ანანიძე, სოლომონ ბაჯელიძე, გიორგი კარალიძე, ჯეირან წულუკიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, მერაბ ცინცაბაძე, შოთა გოგიტიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გელა გოგიტიძე, ავთანდილ გოგიბერიძე, სულხან გორჯელაძე, მამია ჟორდანია, ნატო შამილიშვილი, ალექსანდრე ხიდაშელი, ედნარ თურმანიძე, იამზე ცალქალამანიძე, ლევან მახარაძე, ია მესხიძე, დავით ოქროპირიძე, სოსო ქიზინიძე, ზაზა თხილაიშვილი;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი: ზურა ამაღლობელი.

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მამუკა გოგიტიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 იანვრის რიგგარეშე სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა ახალი 2022 წელი და ყველა განვლილი დღესასწაული, ჯანმრთელობა და წარმატებები უსურვა. ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში შექმნილი მზარდი ეპიდემიის მიმართ, მან მოუწოდა რეგულაციების დაცვისაკენ და საინფორმაციო კამპანიის გაწევისკენ ამომრჩევლებში ვაქცინაციის კუთხით, რომ ვაქცინაცია არის მნიშვნელოვანი სიცოცხლის გადარჩენის თვალსაზრისით. მთავრობა ყველაფერს აკეთებს ამ კუთხით და საჭიროა მოსახლეობის მეტი აქტიურობა. ასევე მადლობა

გადაუხადა სტიქიით გამოწვეული პრობლემების დროს ყველა დეპუტატს ჩართულობისთვის და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს სწორი მენეჯმენტისთვის. შემდეგ გააცნო წარმოდგენილი დღის წესრიგი დეპუტატებს და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

სიტყვით გამოსვლა ითხოვა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ლაშა კომახიძემ.

ლაშა კომახიძე - ,,უკრაინას, რომელიც ომის ზღვარზე და ხალხს საფრთხე ემუქრება, ვუცხადებ სოლიდარობას ფრაქციის სახელით. ესაა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხე, უკრაინის მისამართით. ჩვენ გვინდა, რომ მხარდაჭერა სრულად შევავსოთ, რადგან უკრაინის სახელმწიფომ საქართველოს, აფხაზეთის 2008 წლის ომის დროს, სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა". ლაშა კომახიძემ ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარეს და დეპუტატებს უკრაინის მისამართით, სოლიდარობის გამოხატვისაკენ მოუწოდა. რის შემდეგაც საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმა, საკრებულოს დარბაზში უკრაინის სახელმწიფო დროშა გამოფინეს.

დავით მჭედლიშვილი - მთავრობამ უკრაინასთან დაკავშირებით მხარდაჭერილ მომზადებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა. მისი თქმით ბიუროს სხდომაზე ყოფნის დროს იყო გაკეთებული განცხადება სადაც სრული შემადგენლობა იყო და გამოითქვა მხარდაჭერა.

თედო ტაკიძე - ნაციონალური მოძრაობის გაკეთებულ განცხადებას მორიგი სპექტაკლი უწოდა. მან მოუწოდა ოპოზიციას რეგლამენტის დაცვისკენ და საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პატივისცემისკენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მთლიანი დღის წესრიგი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 იანვრის №07-115220255-115 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

(მომხსენებელი:ლაშა ხახუტაიშვილი)

3.ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო -10 (ოპოზიციამ)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ლაშა ხახუტაიშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიას შეეცვალა სახელწოდება და გახდა ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისია, საჭირო გახდა კომისიის ახალი დებულების შემუშავება. წარმოდგენილი დებულება განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიას მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამტკიცდეს ქობულეთის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის ახალი დებულება.

მერაბ ცინცაბაძე - საკრებულოს თავმჯდომარეს სთხოვა, რომ საკრებულომ წერილობით მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას, შემდეგი სხდომისთვის წარმოგვიდგინონ თუ რამდენ ობიექტზეა გაცემული მშენებლობის ნებართვა გასულ წელს. ასევე დაინტერესდა თუ რა ინფრასტუქტურულ საკითხებს განიხილავს საკრებულო?

დავით მჭედლიშვილის თქმით ინფორმაცია არის საჯარო, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია გამოითხოვოს სასურველი ინფორმაცია. რასაც სიტყვიერი კამათი მოჰყვა.

თედო ტაკიძე - მიმართა მ.ცინცაბაძეს, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წარმოდგენს ინფრასტრუქტურის ნაწილს, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს.

დავით წულუკიძე - ის ცვლილება, რომელიც ხორციელდება საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მუნიციპალური ქონების საკუთრება, ასევე აჭარის არ ქონების მართვის ფინანსთა სამინისტროს ქონება და საქართველოს ქონების მართვის სააგენტოს, მისი თქმით მოსახლეობის მოთხოვნა იყო ინფრასტრუქტურის მოწყობა სადაც მიწა ეკუთვნის აჭარის არ ქონებას და აღნიშნული კომისია სწავლობს აღნიშნულ საკითხს, სადაც აუცილებლობას კომისიის კომისიის დებულების დამტკიცება წარმოდგენს, რომ ქმედითუნარიანი გახდეს საკრებულოს უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლის განსახორციელებლად.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 8

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 წევრი.

მიღებულია დადგენილება N01

(განკარგულება თან ერთვის)

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 იანვრის №07-115220255-115 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ლაშა ხახუტაიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე. მომხსენებლის ინფორმაციით ქ.ქობულეთში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი დიფერენცირებულია ქ. ქობულეთის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შესაბამისი მინიჭებული კოეფიციენტის მიხედვით. ცენტრალური ზონა -54,29 ლარი, შუალედური ზონა - 20,88 ლარი, პერიფერიული ზონა - 14,62 ლარი. ხოლო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქობულეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6,26 ლარს; ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალ დაბებისათვის მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქობულეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50% -ის ოდენობით და იგი შეადგენს - 10,44 ლარს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ.ქობულეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 5,22 ლარს.ზონების მიხედვით რჩება ის ფასები, რაც იყო გასულ წელს, ცვლილება განხორციელებულია მხოლოდ ცენტრალური ზონის ნაწილში და ნაცვლად მდინარე კინტრიშისა, მოიცავს პეტრას ციხემდე ტერიტორიას.

მერაბ ცინცაბაძე - დასვა შეკითხვა დადგენილების საფუძველზე მიღებული შემოსავალი რამდენს შეადგენს? ასევე დაინტერესდა თუ იმსჯელა შესაბამისმა კომისიამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, მიწის ფასის დაწევა მომხდარიყო და დაბალი ტარიფი მიეღოთ.

მომხსენებლის ლაშა ხახუტაიშვილის განცხადებით, ფასები ტურისტულად მიმზიდველ ტერიტორიებზე აუდიტის სამსახურის მიხედვით დგინდება, რადგან აღნიშნული ტერიტორიები საინვესტიციოდ მომგებიანია. საუბარია მემედ აბაშიძის ქუჩის დასავლეთ ნაწილიდან, პეტრას ციხემდე ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქ ქობულეთის ფარგლებში შედის. ფასები სპეციალური ფორმულის მიხედვით დგინდება, რომელიც სხვადასხვა ზონების მიხედვით სხვადასხვაა.

ნათია თხილაიშვილი - ბიუჯეტის დამტკიცების დროს შესაძლებელია აღნიშნული შემოსავლების ნახვა. ხოლო რაც შეეხება ფასის დაწევას საკრებულო ვერ დააკლებს დადგენილ ფასს. ეხლანდელი მსჯელობა ეხება მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენას რომელიც ყოველწლიურად ხდება.

გიორგი გოგიტიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ ოპოზიციონერი წევრების პრეტენზიები, პოპულიზმის მცდელობად შეაფასა.

მისი თქმით ნორმატიულ ფასს განსაზღვრავს კანონი, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება და მოსახლეობასთან დაკავშირებული არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსახლეობა ელოდება სწორ გადაწყვეტილებას. აქვე აღნიშნა, რომ ზონების მიხედვით ფასების დადგენის დროს კომისია დეტალურად განიხილავს და სწავლობს ყველა საკითხს, სადაც შესაძლებელია დასაბუთებული კომენტარის გაკეთება. ჩვენი მუნიციპალიტეტი ვითარდება სწორი გაყიდვებით, გამჭვირვალეობით, და მაქსიმალურად სწორად მიზნობრივად გაყიდული თითოეული გოჯი მიწით, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება განვითარებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია დადგენილება N02

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ .

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა საკითხზე გადასვლამდე გააკეთა წინასიტყვაობა, მისი თქმით გასული წელი იყო ძალიან წარმატებული გენდერული საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით. მაქსიმალური იქნა გაკეთებული ამ საბჭოს მიერ, ჩვენი საკრებულო მდიდარია ქალბატონი დეპუტატებით, მან მადლობა გადაუხადა ლ.შაქარიშვილს წინა პერიოდში გაწეული წარმატებული საბჭოს ხელმძღვანელობისთვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კონსტიტუციის საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის, საქართველოს კანონის ,,გენდერული თანასწორობის შესახებ" მე-13 მუხლის I[1] პუნქტის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილზე დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ მიზნით ქობულეთის საკრებულო უფლებამოსილი და ვალდებულია შეიქმნას მუნიციპალური გენდერული საბჭო. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო არსებობს 2017 წლიდან, კანონის თანახმად მორიგი მოწვევა საკრებულოს შემადგენლობიდან

უნდა განახლდეს ორი თვის ვადაში, როგორც ცნობილია 2021 წლის 3 დეკემბერს გაიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის პირველი სხდომა და შესაბამისად ამ ვადებში უნდა განახლდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს შემადგენლობა.

მომხსენებელმა ლ.შაქარიშვილმა წარმოადგინა ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“ შემდეგი შემადგენლობით:

ლია შაქარიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი - საბჭოს თავმჯდომარე;

გურამ აბაშიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი- გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი-გენდერული საბჭოს მდივანი;

დავით მჭედლიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

ნათია თხილაიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- საბჭოს წევრი;

გიორგი გოგიტიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

დავით წულუკიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი-საბჭოს წევრი;

თედო ტაკიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი -საბჭოს წევრი;

ლაშა ხახუტაიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი-საბჭოს წევრი;

ნატო შამილიშვილი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-

დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი-საბჭოს წევრი;

ილონა ანანიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრი-საბჭოს წევრი;

მერაბ ცინცაბაძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრი-საბჭოს წევრი;

ია მესხიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „გახარია საქართველოსთვი“-ს - საბჭოს წევრი;

მინდია რომანაძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-საბჭოს წევრი;

აზა ბოლქვაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში- საბჭოს წევრი;

ნარგიზ ჯინჭარაძე - ა(ა)იპ „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად“ თავმჯდომარე, უმცირესობის საკითხთა ექსპერტი- საბჭოს წევრი;

ნანა კალანდაძე - ა(ა)იპ ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“-ს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ნათია გოგიტიძე - ა(ა)იპ ,,მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროებებისათვი“-ს თავმჯდომარე- საბჭოს წევრი;

ნინო ნოღაიდელი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შ.შ.მ პირთა საკითხებში- საბჭოს წევრი;

ნათია კიკვაძე - კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმი“-ს წარმომადგენელი ქობულეთში, საბჭოს წევრი;

ილონა ანანიძემ - დასვა შეკითხვა თუ რა არის მთავარი ფუნქცია გენდერული საბჭოს ?

ლია შაქარიშვილი - ეს არის ადგილზე მუნიციპალიტეტის დონეზე ყველა საერთაშორისო შეთანხმების, რომელიც ვალდებულების სახით ჩვენს ქვეყანას ააქვს აღებული, იმ კანონებით, რომელიც ამ მიმართულებით არის შექმნილი, მათ შორის გენდერული თანასწორობის კუთხით ავალდებულებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს, რომ ყველა ის პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არ შეიცავდეს დისკრიმინაციის ნიშნებს და თანაბრად ერგებოდეს, როგორც ქალების ასევე მამაკაცების საჭიროებებს. რაც შეეხება თვითონ ფუნქციას მრავალმხრივია, ჩვენ გვექნება საშუალება გენდერული საბჭოს სხდომაზე, მუნიციპალიტეტს გეგმა წარმოვუდგინოთ, ეს იქნება ქალთა და არა მხოლოდ ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გაძლიერება და ღონისძიებები, რომელიც მუნიციპალიტეტში იქნება ამ მიმართულებით დაგეგმილი, როგორც მუნიციპალური რესურსებით ასევე დონორი ორგანიზაციების ჩართულობით. ძირითადი ასპექტი არის მუნიციპალური

პროგრამების მორგებულობა თანასწორობის საკითხებზე, თანასწორობის ძირითად პრინციპებზე და რათქმაუნდა ქალთა ეკონომიკური , პოლიტიკური და სოციალური გაძლიერება.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო"-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N01

(განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი